



შპს აილვინისსახლი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

2020 წლის 31 დეკემბერი

შპს აილვინისსახლი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


საქმიანობის შედეგები

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენ.	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	963,917	725,121
არამატერიალური აქტივები	5	9,823	17,288
სულ გრძელვადიანი აქტივები		973,740	742,409
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	232,739	230,070
წინასწარ გადახდილი ხარჯები	7	148,830	5,783
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	329,901	193,384
ფული და ექვივალენტები	9	281,680	432,216
სულ მიმდინარე აქტივები		993,150	861,453
სულ აქტივები		1,966,890	1,603,862
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,436,180	1,858,406
საგადასახადო ვალდებულებები	11		-69,005
გრძელვადიანი სესხები	12	2,052,079	585,849
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,488,259	2,375,250
კაპიტალი			
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	13	-771,388	-535,210
მიმდინარე პერიოდის მოგება / (ზარალი)		-749,981	-236,178
სულ კაპიტალი		-1,521,369	-771,388
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,966,890	1,603,862

დირექტორი:





მოგება ზარალის და სხვასრული შემოსავლების ანგარიშგება	შენ .	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	486,361	2,650,999
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15	-157,249	-679,659
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		329,112	1,971,340
		-	-
საოპერაციო ხარჯები		-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	-1,207,542	-2,128,898
ფინანსური ხარჯები	17	-778,397	-87,850
სულ საოპერაციო ხარჯები		-1,985,939	-2,216,748
		-	-
არასაოპერაციო შემოსავლები	18	1,737,753	4,374
არასაოპერაციო ხარჯები	19	0	-58,044
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		1,737,753	-299,078
		-	-
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		0	-299,078
		-	-
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	20	-830,907	4,228
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		-749,981	-294,850

დირექტორი:

Handwritten signature



კაპიტალის მოძრაობის ანგარიშიგება

	აკუმულირებული (ზარალი) /მოგება	კაპიტალის კორექტირება	სულ
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(771,388)	-	(771,388)
კაპიტალის კორექტირება	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	(749,981)	(749,981)
დამფუძნებლის შენატანი	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(771,388)	(749,981)	(1,521,369)

დირექტორი:





2020/01/01 - 2020/12/31

ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი

432216

გაყიდვებიდან მიღებული ფულადი სახსრები	11988900
დებიტორებისგან მიღებული ფულადი სახსრები	11903669
კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება	64239
დღგს დაბრუნება	20992
გადახდები	11190039
სარეალიზაციო საქონლის ხარჯი	415889
გადახდილი ხელფასი	318446
საბიუჯეტო გადასახადი	1712515
იჯარის საფასური	76167
კომუნალური	97899
სარეკლამის ხარჯი	22916
ავტომანქანის შეკეთების ხარჯი & საწვავი	37151
სამეურნეო საქონლის ხარჯი	36531
ბანკის საკომისიო	160201
Booking	60685
მუსიკალური ხარჯი	14325
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	8223
დაცვა	53605
სატრანსპორტო მომსახურება	17095
საოფისე ხარჯი	7453
საკონსულტაციო მომსახურება	4871
დაზღვევა	23840
ძირითადი საშუალების შესყიდვა	8122230
საინვესტიციო საქმიანობა	17895361
მიღებული ფულადი სახსრები	8472982
სხვა სესხები	8472982
გადახდები	9422379
მთლიანი სესხების ხარჯები	9422379
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა	-150536
ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი	281680

დირექტორი:



ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აილვინის სახლი (შემდეგში «კომპანია») დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის : საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე- ჩუღურეთის რაიონი, ელენე ახვლედიანის აღმართი, N4 აღნიშნულ მისამართზე კომპანიის საქმიანობა უკავშირდება სასტუმროს რესტორნით და მარნით, კომპანია ასევე ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას კერძოდ : საცალო ვაჭრობა სასმელებით სპეციალიზებულ მაღაზიაში მისამართზე : თბილისი/ვაკე-საბურთალო/ბახტრიონის ქ. 12

კომპანია დაფუძნდა 2014 წლის 23 სექტემბერს და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%- იანი წილის მფლობელია ბენედიქტე ქაშაკაშვილი, საქართველოს მოქალაქე. კომპანიის მოქმედი დირექტორი : ნინო კვიციანი, საქართველოს მოქალაქე.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საფირმო ნიშნით „ვინოტელი“, და „ვინოთელს“

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად , რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას.

საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით, საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო -მატერიალური მარაგები

გახარჯული სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდი

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

მანქანა-დანადგარი 5-10 წ

ოფისის აღჭურვილობა 5-8 წ

სატრანსპორტო საშუალებები 5-8 წ

ავეჯი და სხვა მოწყობილობა 5-10 წ

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალური აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

არამატერიალური აქტივები 3-8 წელი.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით , რაც წარმოადგენს მიღებული საქონლის და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულების მუხლში ჩართულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისთვის ამოწურული არ არის.

სესხები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება , საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი მოიცავს საკუთარ კაპიტალსა და გაუნაწილებელ მოგებას

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ს გარეშე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები , სადაზღვევო ორგანიზაციები , საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური ”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით, ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც კომპანიას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება, მიღებული მომსახურების ან/და საქონლის სანაცვლოდ.

დასაქმებულთა ანაზღაურება

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა .

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივის ერთეულის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება (განსაზღვრა) მენეჯმენტის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად. აქტივის გამოყენების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, მის ტექნიკურ მახასიათებლებს, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ

შეიძლება მომავალი ცვდის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2019	დებეტი	კრედიტი	31.12.2020
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	230,070	665,310	662,641	232,739
	230,070	665,310	662,641	232,739

7. წინასწარ გადახდილი ხარჯები

	31.12.2019	დებეტი	კრედიტი	31.12.2020
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	79,638.25	69901.65	710	148,829.90
	79,638.25	69,901.65	710.00	148,829.90

8. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2019	დებეტი	კრედიტი	31.12.2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	193,383.79	12,509,813.59	12,373,296.38	329,901.00
	193,383.79	12,509,813.59	12,373,296.38	329,901.00

9. ფული და ექვივალენტები

	31.12.2019	დებეტი	კრედიტი	31.12.2020
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	202,652.13	22753451.72	22950791	5,313
კონვერტაციის სატრანზიტო ანგარიში	-	690.00	690.00	-
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	157,593.11	226889.14	314570.57	69,912
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	71,970.63	19892579.91	19758095.39	206,455
	432,215.87	42,873,610.77	43,024,146.96	281,680

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2019	დებეტი	კრედიტი	31.12.2020
გადასახდელი პროცენტები	-526,416.53	712402.22	794,602.45	-608,616.76
მოკლევადიანი ვალდებულებები	-1,311,978.18	12,041,500.21	12,165,702.22	-1,436,180
	-1,838,394.71	12,753,902.43	12,960,304.67	-2,044,796.95

12. გრძელვადიანი სესხები

	31.12.2019	დებეტი	კრედიტი	31.12.2020
გრძელვადიანი სესხები	-585,849.06	8606906.9	9464519.89	-1,443,462
	-585,849.06	8,606,906.90	9,464,519.89	-1,443,462.06

13. აკუმულირებული მოგება/(ზარალი)

	31.12.2019	დებეტი	კრედიტი	31.12.2020
მაკორექტირებელი ანგარიში	771,388.00	3,768,344.08	3018363.17	1,521,369
	771,388	3,768,344	3,018,363	1,521,369

14. შემოსავალი რეალიზაციიდან

	დებიტი	კრედიტი
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავლები	-	(28,362.19)
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	(2,622,637.22)
	-	(2,650,999.41)

15. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	დებიტი	კრედიტი
გაყიდული შეძენილი საქონელი	105578.33	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	21995.17	-
შეძენილი საქონ. უკან დაბრ. და ფასდათმობა	-31.98	-
ცვეთა და ამორტიზაცია	102026.6	-
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	29707.21	-
	259275.33	-

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	დებიტი	კრედიტი
ა/მანქანის ხარჯი	36794.62	-
ბუნებრივი აირის ხარჯი	19905.39	-
დაზღვევა	7279.41	-
დასუფთავების ხარჯი7433	3892.9	-
დაცვის მომსახურება	40425.81	-
ელექტრო ენერგიის ხარჯი7432	34901.75	-
ინტერიერის გაფორმება	38.99	-
კვება	14792.75	-
კომპიუტერის ხარჯები	2137.5	-
კომუნიკაციის ხარჯები	9056.17	-
მიწოდების სხვა ხარჯები	346.27	-
მომსახურების ხარჯი	6463.07	-
მუსიკალური მომსახურების ხარჯი	16914.52	-
რეკლამის ხარჯები	17299.1	-
რემონტი	5524.85	-
საბანკო მომსახურება	16315.37	-
საიჯაროქირა	246745.75	-
საკანცელარიო ხარჯი	1472.11	-
საკომისიო სასტუმროს რეალიზაციიდან	11009.68	-
საკონსულტაციო ხარჯები	9826.56	-
სამეურნეო ხარჯი	35409.18	-
საპენსიო დანახარჯი	8217.71	-
სასტუმროს ჰიგიენა	494.04	-
სხვა საერთო ხარჯი	284.91	-
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	10024.79	-
შრომის ანაზღაურება	415579.16	-
წარმომადგენლობითი ხარჯი 7437	687.12	-
წყლის ხარჯი7434	8174.2	-
	980013.68	-

17. ფინანსური ხარჯები

	დებიტი	კრედიტი
საპროცენტო ხარჯები	778396.71	-
	778396.71	-

18. არასაოპერაციო შემოსავლები

	დებიტი	კრედიტი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	(4,373.88)
	-	(4,373.88)

19. არასაოპერაციო ხარჯები

	დებიტი	კრედიტი
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	125555.09	-
ჯარიმები	0	-
	125555.09	-

20. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

	დებიტი	კრედიტი
კონვერტაციის შემოსავალი		11,804.16
კონვერტაციის ხარჯი	1161350.48	-
	1161350.48	11,804.16

ფუნქციონირებადი საწარმოს ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციის და ვალეზულების შესრულებას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ მოლოდინები.

ანგარიში დამტკიცებულია 2021 წლის 22 სექტემბერს

წ. კვიფიძე

